საჯარო სამართლის იურიდიული პირი შემოსავლების სამსახური

ქ. თბილისი **პირველი დეკემბერი, 2023 წელი**

„სატენდერო და საკონკურსო კომისიისა და სატენდერო და საკონკურსო კომისიის აპარატის შექმნის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2022 წლის 11 ივლისის N18153 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №1

პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრის ლაბორატორიული კვლევის მომსახურების (CPV71900000 - ლაბორატორიული მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერი (დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე)

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:
მიხეილ ახვლედიანი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
ზვიად პაპიძე - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

სატენდერო კომისიის წევრები:
ლაშა სხიერელი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
დიმიტრი მუჯირი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის ინფრასტუქტურის განვითარების სამმართველოს უფროსი;
გიორგი ყენია - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი;
ნოე მამულაშვილი - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის საფინანსო-საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი;
გივი ცქვიტინიძე - ფინანსური დეპარტამენტის ლოჯისტიკისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:
ლანა ტალახაძე - სსიპ შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე.

დღის წესრიგი:
პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრის ლაბორატორიული კვლევის მომსახურების (CPV71900000 - ლაბორატორიული მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოისმინეს:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა ლანა ტალახაძემ, სატენდერო კომისიის დამსწრე წევრებს, სხდომაზე დასამტკიცებლად წარუდგინა, **პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრის ლაბორატორიული კვლევის მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვის აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი. ასევე, საბაჟო დეპარტამენტის 2023 წლის 26 ოქტომბრის N108202-21-10 და 21 ნოემბრის N118534-21-10 მოთხოვნები და გახორციელებული ბაზრის კვლევის შედეგები (სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს N122520-21-02 მოხსენებითი ბარათი). კერძოდ: დაინტერესებული პრეტენდენტი N1-ის შემოთავაზება 14 300.00 ლარი, დაინტერესებული პრეტენდენტი N2-ის შემოთავაზება 11 000.00 ლარი, დაინტერესებული პრეტენდენტი N3-ის შემოთავაზება 14 300.00 ლარი, ხოლო დაინტერესებული პრეტენდენტი N4-ის შემოთავაზება 11 000.00 ლარი

განიხილეს:
სატენდერო კომისიის დამსწრე წევრები გაეცნენ სატენდერო კომისიის აპარატის მიწოდებულ ინფორმაციას და განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

სატენდერო კომისიის დამსწრე წევრებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგზე:

- შესყიდვის საშუალებად განისაზღვროს **ელექტრონული ტენდერი (SPA).** ტენდერი გამოცხადდეს არაუმეტეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში;
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს - **11 000.00 (თერთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი** (დღგ-ს გათვალისწინებით);
- მომსახურების გაწევის ვადად განისაზღვროს - ხელშეკრულების გაფორმებიდან, მაგრამ არაუადრეს 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- შესყიდვის დაფინანსების წყაროდ განისაზღვროს - 2024 წლის სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრები.

არსებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ ბაზარზე ოპერირებს მიმწოდებელთა საკმარისი რაოდენობა, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა ტენდერში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში დააკმაყოფილონ სატენდერო დოკუმენტაციით დაწესებული მოთხოვნები.

სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრები ერთხმად დაეთანხმა ზემოაღნიშნულ პირობებს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიამ დაადგინა:

1. სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით დამტკიცდეს, **მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათ(ზე)ში/ცხოველის საკვებ(ზე)ში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრის ლაბორატორიული კვლევის მომსახურების (დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე)** სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჩასატარებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო განცხადების პროექტი წინამდებარე ოქმზე თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერი (SPA) გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

კომისიის თავმჯდომარე: **მიხეილ ახვლედიანი**----------

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **ზვიად პაპიძე**----------

სატენდერო კომისიის წევრები:

ლაშა სხიერელი---------- **ნოე მამულაშვილი** ----------

გივი ცქვიტინიძე ---------- **დიმიტრი მუჯირი** ----------

გიორგი ყენია----------

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: **ლანა ტალახაძე**----------

LEPL REVENUE SERVICE

Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE
Date: 2023.12.01 20:08:33 +04'00'

შესყიდვის ტიპი	ელექტრონული ტენდერი(SPA)
განცხადების ნომერი	N/A
შესყიდვის სტატუსი	განცხადების პროექტი
შემსყიდველი	შემოსავლების სამსახური
შესყიდვის გამოცხადების თარიღი	
წინადადებების მიღება იწყება	10.12.2023 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	13.12.2023 12:00
დაფინანსება	2024 წლის სახსრები
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	11`000.00 GEL
წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით

დაამატე რჩეულებში

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი

- 71900000 - ლაბორატორიული მომსახურებები

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი

- 71900000 - ლაბორატორიული მომსახურებები

შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	110.00 GEL
გარანტიის ოდენობა	110 GEL
გარანტიის მოქმედების ვადა	160 დღე
დამატებითი ინფორმაცია	

პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრის ლაბორატორიული კვლევის მომსახურება (დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე)

შესყიდვის ობიექტის აღწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია

1.1 მიუთითეთ შესყიდვის ობიექტის დასახელება

პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრის ლაბორატორიული კვლევის მომსახურება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (აღნიშნული პირობა სავალდებულოა ვინაიდან ნიმუშების ტრანსპორტირება გამოიწვევს გასაწევი მომსახურების გახანგრძლივებას დროში, რაც შეაფერხებს საბაჟო პროცედურებს).

კვლევები უნდა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის 623 დადგენილებით „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათ('ზე)ში/ცხოველის საკვებ('ზე)ში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე".

1.2 მიუთითეთ საქონლის/მომსახურების/სამუშაოს აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

- ლაბორატორიული კვლევისათვის წარდგენილი ნიმუშების ტესტირება (გამოცდა) უნდა ჩატარდეს საქართველოში მოქმედი ნორმატიული ბაზის შესაბამისად;
- ასევე შესაძლებელია კვლევები ჩატარდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- თუ ტენდერის მიმდინარეობის პერიოდში შეიცვლება მოცემულ პროდუქციაზე ტექნიკური რეგლამენტი, ამ შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებიც;
- სავალდებულოა კვლევები განხორციელდეს მომწოდებლის საკუთრებაში არსებულ, ან ქვეკონტრაქტორ ლაბორატორიაში;
- ლაბორატორიული გამოცდის მიზნით აღებული სურსათის ნიმუში ლაბორატორიას გადაეცემა შემსყიდველის უფლებამოსილი თანამშრომელის მიერ მიმართვით. შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს მხოლოდ მიმართვაში ასახული და ჩატარებული კვლევის ღირებულებას. საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ან ნიმუშის/სინჯის ამღები უფლებამოსილი თანამშრომლის დაუყოვნებელი ინფორმირება (სატელეფონო შეტყობინებით ან ფაქსით) ნიმუშის/სინჯის გამოცდის შედეგების შესახებ, ხოლო გამოცდის ოქმი (სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი შინაარსითა და ფორმით) უნდა გაუგზავნოს შემსყიდველს წერილობით (შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის საშუალებით), კვლევის დასრულებიდან 48 საათის განმავლობაში. თუ აღნიშნული 48 საათიანი ვადის ამოწურვა ემთხვევა არასამუშაო დღეს, გამოცდის ოქმი (სათანადო ნორმატიული აქტით დადგენილი შინაარსითა და ფორმით) უნდა გაეგზავნოს შემსყიდველს ვადის ამოწურვიდან პირველივე სამუშაო დღეს. ანგარიშსწორების მიზნებისათვის, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ხელმოწერითა და ბეჭდით დადასტურებული გამოცდის ოქმის ორიგინალი და მიმართვა ინვოისთან ერთად წარადგინოს შემსყიდველთან ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე.
- ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს აკრედიტაციის პასპორტის შესაბამისი ფორმის მიხედვით ჩატარებული ტექნიკური ოპერაციის, თითოეული გამოცდა-ანალიზის, საანალიზო ნიმუშების გამოცდის ოქმების, გრაფიკების, გაზომვების, ცხრილების, ნახაზების, მიღებული პასუხების, ინსტრუმენტალური კვლევის შედეგების, შენახვა და დაცვა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ და წარმოადგინონ ისინი მოთხოვნის შემთხვევაში.

პრეტენდენტის მიერ დანართი N1 - ფასების ცხრილი წარმოდგენილი უნდა იყოს PDF ფორმატში, ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული კვალიფიციური შტამპით დამოწმებული.

1.3 ატვირთეთ ფასების ცხრილი/ხარჯთაღრიცხვა

დანართი N1 - ფასების ცხრილი - დასავლეთი - აღმოსავლეთი.xlsx

1.4 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა

ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან, მაგრამ არაუადრეს 2024 წლის პირველი იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამასთან, თითოეული კვლევის შესრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს.

1.5 მიუთითეთ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ფორმა და ადგილი

ლაბორატორიული კვლევა უნდა განხორციელდეს მომწოდებლის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ ან/და ქვეკონტრაქტორ ლაბორატორიაში;

1.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ?

არა

ტექნიკური მოთხოვნები

2.1 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან/და მწარმოებლის შესახებ?

არა

2.2 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ?

არა

2.3 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ?

კი

2.3.1 მიუთითეთ პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებული მოთხოვნები

ინფორმაცია პრეტენდენტის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ან/და ქვეკონტრაქტორი კვლევითი ლაბორატორიების ტერიტორიული მდებარეობისა და ფაქტიური მისამართების შესახებ;

2.4 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

არა

2.5 მოითხოვება თუ არა დეტალური ინფორმაცია საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი)?

არა

2.6 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია პრეტენდენტის ფინანსური შესაძლებლობების შესახებ (გარდა სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემებისა)?

არა

2.7 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ლიცენზიასთან, აკრედიტაციასთან, სტანდარტებთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებით?

კი

2.7.1 მიუთითეთ ლიცენზიასთან, სტანდარტებთან, აკრედიტაციასთან, ხარისხის შესაბამისობასთან და სხვ. დოკუმენტებთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს აკრედიტაციის მოწმობა (ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

2. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას აკრედიტაციის სფეროს ის ნაწილი, (ნოტარიულად ან აკრედიტაციის ცენტრის მიერ დამოწმებული ასლი), რომელითაც დასტურდება, რომ პრეტენდენტს შეუძლია მოცემულ ტენდერში განსაზღვრული გამოსაკვლევი მაჩვენებლების ტესტირება;

2.8 მოითხოვება თუ არა ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესახებ?

კი

2.8.1 მიუთითეთ ქვეკონტრაქტორთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. ქვეკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ქვეკონტრაქტორის აკრედიტაციის მოწმობა (ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

2. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას ქვეკონტრაქტორის აკრედიტაციის სფეროს ის ნაწილი, (ნოტარიულად ან აკრედიტაციის ცენტრის მიერ დამოწმებული ასლი), რომელითაც დასტურდება, რომ პრეტენდენტს შეუძლია მოცემულ ტენდერში განსაზღვრული გამოსაკვლევი მაჩვენებლების ტესტირება;

3. ამასთანავე, წარმოდგენილი უნდა იქნას მიმწოდებელსა და ქვეკონტრაქტორს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს იდენტური ან უნდა აღემატებოდეს ტენდერით გათვალისწინებულ მომსახურების გაწევის (ხელშეკრულების შესრულების) ვადას.

4. პრეტენდენტი ვალდებულია ნებისმიერი ცვლილება ქვეკონტრაქტორთან დაკავშირებით არანაკლებ ერთი თვით ადრე აცნობოს შემსყიდველს.

2.9 სხვა დამატებითი მოთხოვნები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

1.შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ ატვირთული უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ამასთან შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის შესაბამისად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს იმ მოთხოვნილი დოკუმენტების დედანი ან/და ნოტარიულად დამოწმებული ასლ(ებ)ი, რომელიც იყო ატვირთული ერთიან ელექტრონულ სისტემაში. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი (ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული) ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს ხელმძღვანელის ან უფლებამოსილი პირის მიერ (უფლებამოსილი პირის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას (ატვირთულ უნდა იქნას ერთიან ელექტრონულ სისტემაში) უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტ(ებ)ი).

2. ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენისას პრეტენდენტის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს (არ უნდა იყოს დარღვეული) სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული დანართების ფორმები (მათ შორის ნუმერაცია) და არსებობის შემთხვევაში მათში მითითებული აუცილებელი პირობები.

3. თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასიდან გამომდინარე ერთეულის ღირებულებები დაჯდება მრავალნიშნა ათწილადი, პრეტენდენტი ვალდებულია ერთეულის ღირებულებები შეამციროს და დაამრგვალოს მეასედებამდე, შესაბამისად შეამციროს საერთო ღირებულებაც.

4. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

5. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

6.სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახულ უნდა იყოს ყველა ხარჯის გათვალისწინებით, როგორიცაა: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, თუ მოსაკრებლები (მათ შორის - დღგ).

7.სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

8. მიმწოდებელი ვალდებულია ნებისმიერი ცვლილება ქვეკონტრაქტორთან და აკრედიტაციასთან დაკავშირებით არანაკლებ ერთი თვით ადრე აცნობოს შემსყიდველს.

შესყიდვის ობიექტის ნიმუში ან/და ექსპერტიზის დასკვნა

3.1 მოითხოვება თუ არა ნიმუშის ან/და ნიმუშის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა?

არა

ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი

4.1 მოითხოვება თუ არა სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა?

კი

4.1.1 მიუთითეთ, კონკრეტულად თუ რა დოკუმენტ(ებ)ით უნდა დაასაბუთოს პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობა

4.1.1.1 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით, ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ წესის 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საშემფასებლო ან აუდიტის ან ექსპერტიზის დასკვნა. დასკვნასთან ერთად ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის (როგორც დასკვნის გამცემი კომპანია ასევე დასკვნაზე ხელმომწერი პირები) შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" მიერ გაცემული დასკვნის შემთხვევაში, დასკვნის გამცემი პირის (როგორც დასკვნის გამცემი კომპანია ასევე დასკვნაზე ხელმომწერი პირები) შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა არ მოითხოვება.

4.1.1.2 ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასკვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-18 მუხლის მე-6, მე-7 პუნქტებისა და 28-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

4.1.2 მიუთითეთ ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა

მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში

სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი

5.1 მოითხოვება თუ არა პრეტენდენტის სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ი?

არა

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.5 მოითხოვება თუ არა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია?

არა

ანგარიშსწორების პირობები

7.1 გამოიყენება თუ არა წინასწარი ანგარიშსწორება?

არა

7.2 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
2. ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობის მიხედვით უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

7.3 მიუთითეთ ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები(სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციაა ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღე)

ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ხელშეკრულების პროექტი

8.1 ატვირთეთ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პროექტი - დასავლეთი.pdf

საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია

9.1 მიუთითეთ სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო წევრის ვინაობა და მონაცემები

ლანა ტალახაძე, 599331455, l.talakhadze@rs.ge

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები

10.1 დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტები (ველის შევსება არ არის სავალდებულო)

სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

11.1 ატვირთეთ სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი